

საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგები

2020



საკროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგები



ანგარიში მომზადებულია
ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ავტორი: გიორგი ტყეხუჩავა
რედაქტირება: ალექო ხეიტიშვილი, გიორგი კაკუხავა
მონიტორები: ანი ფორჩხიძე, თამარ ქურთაული,
ნინო ჩიხლაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია **ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)** დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელის წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოვიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hridc@hridc.org

ვებ-პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ www.humanrights.ge

ვებ-საიტი: hridc.org



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

ანგარიში მომზადდა ფონდის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია.....	5
შეკრებისა და გამონახტვის თავისუფლების საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა.....	6
დემონსტრანტების ქცევა აქციებზე	8
სამართალდამცველთა ქმედებები აქციებზე	10
კომენდანტის საათის შემოღება	14
სამართალდამცავთა აუცილებლობა და პროპორციული რეაქცია.....	16
2020 წლის 8 ნოემბრის აქციაზე გამოყენებული საკოლინო ქალის სამართლებრივი შეფასება.....	17
დასკვნა.....	26
რეკომენდაციები	28

შესავალი

გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური და ფუნქციური ელემენტია. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით, შეკრების (მანიფესტაციის) შესაძლებლობა დემოკრატიული მმართველობის განუყოფელი ნაწილია. ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს. დემოკრატიული და პლურალური საზოგადოების საზრდო კი, ამრთა ვერბალური დაპირისპირებაა.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია 2020 წლის 15 დეკემბრამდე საქართველოში გამართული საპროტესტო აქციების დროს იდენტიფიცირებული სამართალდარღვევების სამართლებრივი ანალიზი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

დოკუმენტში განხილულია 2020 წლის 1 მარტიდან, 15 დეკემბრამდე თბილისსა და რეგიონებში, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებული პოლიტიკური შინაარსისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სხვა სახის საპროტესტო აქციების დაკვირვების შედეგები. ამ პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვების ქვეშ მოექცა 56 საპროტესტო აქცია.

ზოგადი შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლისგან განსხვავებით, 2020 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებამდე გამართულ აქციათა უმრავლესობა მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. სავარაუდოდ, ეს განპირობებული იყო აქციებში მონაწილე აქტივისტთა/დემონსტრანტთა მცირერიცხოვანი რაოდენობით. ეს კი, თავის მხრივ, ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან მომდინარე საფრთხეების გამო, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით დაწესებული რიგი შეზღუდვებით იყო გამოწვეული. მათ შორის, შეიზღუდა შეკრებები და მანიფესტაციები¹.

2020 წლის 9 ნოემბრიდან, საქართველოს მთავრობამ კვლავ მიიღო Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები², რაც დამაზიანებელი ეფექტის მქონე აღმოჩნდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებისათვის.

¹ იხ.: საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი. <https://bit.ly/36ZQVkw>.

² იხ.: საქართველოს მთავრობის დადგენილება №670 - „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. [±](#)

მეთოდოლოგია

საპროტესტო აქციების მონიტორინგს ახორციელებდა ადამიანის უფლებათა ცენტრის 3 მონიტორი, რომლებმაც შესაბამისი ტრენინგები გაიარეს სპეციალურად მოწვეულ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ექსპერტებთან³. მონიტორები ყოველი აქციისა და სასამართლო მოსმენის შემდეგ აფიქსირებდნენ მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც აჯამებდა და ანალიტიკური დოკუმენტებისთვის იყენებდა ანალიტიკოსი-იურისტი.

მონიტორინგის ფარგლებში, ანალიტიკური დოკუმენტის მომზადებისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენდა, აქციებისა და სასამართლო პროცესების დროს, მონიტორთა მიერ შემუშავებული პირადი ანგარიშები და საპროტესტო აქციების მსვლელობისას პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, სამოქალაქო აქტივისტებისა და მედია საშუალებების მიერ გადაღებული ფოტო და ვიდეომასალა.

ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აქციებს აკვირდებოდნენ, როგორც უშუალოდ საპროტესტო აქციების მსვლელობის ადგილზე, ისე დისტანციურად სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმების Live Streaming-ის საშუალებით. დასაკვირვებელ აქციათა დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას მონიტორები სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - სოციალური ქსელიდან Facebook-იდან იძიებდნენ, სადაც ორგანიზატორები გასამართ აქციათა შესახებ ინფორმაციას ავრცელებდნენ.

წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულია, რამდენად შეესაბამება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებული პროცედურები აღიარებულ პრაქტიკას და საერთაშორისო ვალდებულებებს.

³ იხ.: ინფორმაცია OSCE/ODIHR-ის ტრენინგის შესახებ.: <https://bit.ly/2Qmse8R>.

შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლების საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა დაცვის არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში, მათ შორის: UDHR-ის მე-20 მუხლში⁴, ICCPR-ის 21-ე მუხლში⁵, ECHR-ის მე-11 მუხლში⁶, ACHR-ის⁷ მე-15 და FCNM-ის⁸ მე-7 მუხლებში. ეს უფლება გაეროს ადამიანის უფლებადამცველთა დეკლარაციამაც დაადასტურა და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მის მნიშვნელობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების განვითარებისა და დაცვისთვის⁹.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყველა შემლუდვა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპს. გარდა ამისა, შემლუდვები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ სხვა ნორმებს, მაგალითად - დისკრიმინაციის აკრძალვას და არ უნდა იყოს გამოყენებული ისე, რომ შეაფერხოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების არსი¹⁰. როგორც კიდევ ერთხელ დაადასტურა მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელმა, სახელმწიფოებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური და დროული წერილობითი ახსნა ნებისმიერი შემლუდვის დაწესების შესახებ და უზრუნველყონ ამ შემლუდვის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და დაუყოვნებლივი სასამართლო განხილვა¹¹.

ეროვნულ დონეზე შეკრების თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, რომელიც ადგენს საჯაროდ და უიარალოდ შეკრების შესაძლებლობას¹². სწორედ დასახელებული კონსტიტუციური ნორმა, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან ერთად, ქმნის შეკრების თავისუფლების საკანონმდებლო რეგულირების საფუძველს. ასევე, უფლების

⁴ იხ.: Universal Declaration of Human Rights, მუხლ. 20. <https://bit.ly/3oAiJlC>.

⁵ იხ.: International Covenant on Civil and Political Rights, მუხლ. 21. <https://bit.ly/3gyFhAo>.

⁶ იხ.: European Convention on Human Rights, მუხლ. 11. <https://bit.ly/3gp9925>.

⁷ იხ.: American Convention on Human Rights, მუხლ. 15. <https://bit.ly/3ovCVF0>.

⁸ იხ.: Framework Convention for the Protection of National Minorities and Explanatory Report, მუხლ. 7. <https://bit.ly/3gud9Oy>.

⁹ იხ.: Declaration on Human Rights Defenders, მუხლ. 5. <https://bit.ly/3oC6ODB>.

¹⁰ იხ.: გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 31, „პაქტის წევრ სახელმწიფოებზე დაკისრებული ზოგადი სამართლებრივი ვალდებულების ხასიათი“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/21/Rev.1/Add.13, 26 მაისი, 2004, პარაგრაფი 6.

¹¹ იხ.: A/HRC/23/39, 24 აპრილი, 2013, პარაგრაფი 81(c).

¹² იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. <https://bit.ly/37Pt0TY>. ასევე, იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება, II, პარ.1.

განხორციელების ცალკეული ასპექტები მონენსრიგებულია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“¹³ და „პოლიციის შესახებ“¹⁴ საქართველოს კანონებით.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „შეკრება“ არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი სამოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით¹⁵. ხოლო „მანიფესტაცია“ წარმოადგენს მოქალაქეთა დემონსტრაციას, მასობრივ საჯარო გამოსვლას, ქუჩაში მსვლელობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობას პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით¹⁶. ასევე, საყურადღებოა, რომ შეკრება დაკავშირებულია თანამომარეეთა გარკვეული ჯგუფის არსებობასთან, გულისხმობს აზრის გამოხატვის კოლექტიურ შესაძლებლობას¹⁷ და ამდენად, შესაბამისი კვალიფიკაციისთვის, მოითხოვს, სულ მცირე, ორი ადამიანის დასწრებას. თუმცა, თითოეული პირი შეკრების თავისუფლების რეალიზებას ინდივიდუალურად ახდენს.

არსებული რეგულირების გათვალისწინებით, მანიფესტაცია შეკრების ერთ-ერთი სახეა¹⁸, რომელსაც კანონი ცალკე გამოყოფს და განმარტავს. შეკრების სხვა ფორმების განსაზღვრებას კანონმდებლობა არ გვთავაზობს. მაგალითად, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპონტანური შეკრებების ცნებას და ერთდროულ შეკრებებს მხოლოდ ფრაგმენტულად არეგულირებს. შესაბამისად, პრობლემურად უნდა შეფასდეს, რომ კანონში არ არის განსაზღვრული სხვადასხვა სახის სპეციფიკური შეკრების მომწესრიგებელი ნორმები¹⁹.

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და შესაბამისი პრაქტიკა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.

¹³ იხ.: საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ. <https://bit.ly/3oEM6mS>.

¹⁴ იხ.: საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“. <https://bit.ly/3m10kN1>.

¹⁵ იხ.: შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, „ა“ ქვეპუნქტი. <https://bit.ly/3oEM6mS>.

¹⁶ იხ.: „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, „ბ“ ქვეპუნქტი. <https://bit.ly/3oEM6mS>.

¹⁷ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 132. <https://bit.ly/3qtH75r>.

¹⁸ იხ.: ა. ფირცხალაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, გვ. 284, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3bN7UXE>>

¹⁹ ამ პრობლემაზე მიუთითებს ვენეციის კომისიის ერთ-ერთი მომხსენებელიც, იხ.: ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), კომენტარები (№547/2009; CDL(2009)153) „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე, 01.10. 2009, პარ. 15.

დემონსტრანტების ქვევა აქციებზე

მონიტორინგის განმავლობაში გამართულ 56 აქციაზე დაკვირვების შედეგად²⁰, შეიძლება ითქვას, რომ აქციათა უმრავლესობა მშვიდობიან ხასიათს ატარებდა²¹. გამონაკლის შემთხვევებში, დემონსტრანტთა ქმედებების მასშტაბი არ აღწევდა იმ ზღვარს, რაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალურ საფრთხეს შექმნიდა. ზოგადი შეფასებით, დემონსტრანტების ქცევა იმგვარი ბუნებისა და ხარისხის იყო, რომ დემონსტრაციაში მათი მონაწილეობა ლეგიტიმური იყო როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების დაცვის სფეროშიც²². სავარაუდოდ, ეს განპირობებული იყო აქციებში მონაწილე აქტივისტთა/დემონსტრანტთა მცირერიცხოვანი რაოდენობით, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან მომდინარე საფრთხეების გამო, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით დაწესებული რიგი შეზღუდვებით იყო გამოწვეული. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, შეიზღუდა შეკრებები და მანიფესტაციები²³.

დადებითად უნდა შეფასდეს ისიც, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა²⁴, აქციების მსვლელობის ადგილზე მისული სამართალდამცავები დემონსტრანტებს არ უქმნიდნენ ბარიერებს მოთხოვნებისა და პროტესტის გამოხატვისას. ისინი უზრუნველყოფდნენ აქციების მშვიდობიანად ჩატარების გარემოს, იცავდნენ მონაწილეების უსაფრთხოებასა და დაცულობას, ხოლო მცირე არეულობის

²⁰ იხ.: საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წელი. <https://bit.ly/37Le49G>.

²¹ მაგ., იხ.: აქცია - „არა ჰესებს“, ჩოხატაური-სურების მაგისტრალი, მიკროპესების მშენებლობის გაპროტესტების მიზნით. 15.08.2020; მშობლების აქცია დისტანციური სწავლების გაუქმების მოთხოვნით. 15.09.2020; „სამშვიდობო მანიფესტი - აქცია კანცელარიასთან“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). 02.10.2020; საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიასთან, ოპოზიციონერთა და მათ მხარდამჭერთა საპროტესტო აქცია, 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, 02.11.2020; აქცია - „სოლიდარობა ჩვენს პატიმრებს“; „ამნისტია პატიმრებს“; „შემახე ამნისტია“; 04.09.2020; აქცია 05.11.2020 თბილისში, მთაწმინდის საოლქო კომისიის შენობასთან გამართული აქცია, სადაც უნდა განხილულიყო 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრები. 05.11.2020; გაერთიანებული ოპოზიციის აქცია. 14.11.2020;

²² იხ.: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი: <https://bit.ly/3gsgxd49>.

²³ იხ.: იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი. <https://bit.ly/3m2VE9e>.

²⁴ იხ.: პოლიტიკური პარტია „გირჩის“ აქცია იპოდრომზე, „საგანგებო მდგომარეობისა და მის პერიოდში გამოწვეული ჯარიმების გაუქმების მოთხოვნით“ - (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი). აქციაზე მისულ პირებს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები მოუწოდებდნენ, დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დაჯარიმებით ან დაკავებით ემუქრებოდნენ.

შემთხვევებში, უზრუნველყოფდნენ, ეს ქცევა სხვა მონაწილეებზე არ გავრცელებულიყო და ამას საფრთხე არ შეექმნა სხვა მონაწილეებისთვის²⁵.

2020 წლის 3 ნოემბერს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №660, რომლის საფუძველზეც სავალდებულო გახდა პირბადის ტარება ღია საჯარო სივრცეში ყოფნისას/გადაადგილებისას²⁶. აღნიშნული წესის დარღვევის გამო პასუხისმგებლობა კი განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმით. ზოგიერთ შემთხვევაში, სამართალდამცავები შეკრებაში მონაწილე პირებს მოუწოდებდნენ დისტანციის დაცვისა და პირბადის ტარებისკენ, რასაც საპროტესტო აქციების მონაწილეები უმეტეს შემთხვევაში არ ასრულებდნენ.

დადებით ტენდენციებთან ერთად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების მიერ საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებულია ისეთი ფაქტები, როდესაც პოლიცია, შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ, ახდენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენების მუქარით აქციის მონაწილეთა დაშლას²⁷.

გემოაღნიშნულისგან სრულიად საპირისპირო შედეგები დადგა და მძიმე დარღვევები დაფიქსირდა 2020 წლის 8 ნოემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან გამართულ საპროტესტო აქციაზე, რაც წინამდებარე დოკუმენტში სრულად შეფასდება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების მისადაგების საფუძველზე.

²⁵ იხ.: Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 98. <https://bit.ly/2VXr3zC>.

²⁶ იხ.: საქართველოს მთავრობის დადგენილება №660 - „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. 2020 წლის 3 ნოემბერი. <https://bit.ly/3qkITVs>.

²⁷ მაგ., იხ.: პოლიტიკური პარტია „გირჩის“ აქცია იპოდრომზე, „საგანგებო მდგომარეობისა და მის პერიოდში გამოწვეული ჯარიმების გაუქმების მოთხოვნით“ - (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი). აქციაზე მისულ პირებს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები მოუწოდებდნენ, დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დაჯარიმებით ან დაკავებით ემუქრებოდნენ.

სამართალდამცველთა ქმედებები აქციებზე

ერთ-ერთ აქციაზე დაკვირვებისას დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც შეკრებაში მონაწილეებს ბუნებრივად დაშლის და პოლიციის ჩარევის გარეშე ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა არ მიეცათ. პოლიციამ ძალის გამოყენებით დააკავა ახალგაზრდა ქალბატონი, წაართვა მობილური ტელეფონი და იძულებით ჩასვა საპატრულო პოლიციის მანქანაში²⁸. ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, თუ შეკრებას არავითარი ან მცირე ზეგავლენა აქვს სხვების უფლებებსა და თავისუფლებებზე ან ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე და თუ იგი უსაფრთხო ადგილზე მიმდინარეობს, მაშინ პოლიციამ ნება უნდა დართოს მონაწილეებს, გააგრძელონ აქცია²⁹. შესაბამისად, აღნიშნული პირის მიმართ ძალა არაპროპორციულად იყო გამოყენებული.

2020 წლის 4 ნოემბერს, თბილისში, ვაკის, საბურთალოსა და ისნის საოლქო კომისიების შენობებში, სადაც უნდა განხილულიყო 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრები, გაიმართა ოპოზიციური პარტიებისა და მათი მხარდამჭერების საპროტესტო აქციები. აქციებზე იმყოფებოდნენ ოპოზიციური პარტიების: „სტრატეგია აღმაშენებლის“, „ლელო საქართველოსთვის“, „ევროპული საქართველოს“, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეების“, მხარდამჭერები. ადგილზე შეკრებილები აპროტესტებდნენ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებს და უთითებდნენ შედეგების სავარაუდო გაყალბებაზე.

ალეკო ელისაშვილი ითხოვდა საოლქო საარჩევნო კომისიაში შესვლასა და ხმების დათვლის პროცესში მონაწილეობას, მაგრამ ამის ნება არ დართეს. ამას მოჰყვა დაპირისპირება ალეკო ელისაშვილს, ოპოზიციური პარტიების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებსა და სამართალდამცავებს შორის³⁰. *ამ დაპირისპირების შედეგად, საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიასთან, აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების*

²⁸ იხ.: პოლიტიკური პარტია „გირჩის“ აქცია იპოდრომზე, „საგანგებო მდგომარეობისა და მის პერიოდში გამოწვეული ჯარიმების გაუქმების მოთხოვნით“ - (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი).

²⁹ იხ.: Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 98. <https://bit.ly/37KoXsa>.

³⁰ იხ.: ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3kTFnnr>. ბოლოს ნანახია: 09.12.2020. ასევე - ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებული ანგარიში. 04.11.2020.

საფუძველზე, დააკავეს სამი პირი³¹. დაკავებულთა შორის იყო „ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ოთარ თავართქილაძე³².

პოლიტიკური პარტიების განცხადებით, საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვას ფორმალური სახე ჰქონდა³³, რაც იწვევდა საარჩევნო სუბიექტების და მათი მხარდამჭერების პროტესტს, რასაც, ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან, ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა საპროტესტო აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავებს შორის³⁴. ამ დაპირისპირების შედეგად, რამდენიმე პირი შეუძლოდ გახდა. შვიდი პირი კი, მათ შორის - ოპოზიციური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, გიორგი კაპანაძე დააკავეს³⁵, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე, რაც გულისხმობს წვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას³⁶.

ევთო/ODIHR-ის ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო მითითებები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ ითვალისწინებს, რომ „მაქსიმალურად უნდა განხორციელდეს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების, როგორც ფუნდამენტური უფლების, გამოყენება შეზღუდვების გარეშე“³⁷. სახელმწიფოს ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს და დაიცვას მშვიდობიანი შეკრებები და უზრუნველყოს, რომ ეს თავისუფლება არ ექვემდებარება არასასურველ ბიუროკრატიულ რეგულირებას. ამ ვალდებულებების თანახმად, „ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და დემონსტრაციის უფლება. ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ უფლებების განხორციელებაზე, დადგენილი უნდა იყოს კანონით და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს“³⁸. უფრო მეტიც, გამომდინარე იქიდან, რომ პოლიცია ხელისუფლების ძალაუფლების ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა, მისი

³¹ იხ.: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები. <https://bit.ly/2Kc0hk0>.

³² იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2l2esHu> და <https://bit.ly/3mSPZng>. ბოლოს ნანახია: 09.12.2020. ასევე - ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებული ანგარიში. 04.11.2020.

³³ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3jTVeRv>. ბოლოს ნანახია: 09.12.2020. ასევე - ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებული ანგარიში. 04.11.2020.

³⁴ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3eyfR4L>. ბოლოს ნანახია: 09.12.2020. ასევე - ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებული ანგარიში. 04.11.2020.

³⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებული ანგარიში. 04.11.2020.

³⁶ იხ.: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები. <https://bit.ly/2Kc0hk0>.

³⁷ ევთო/ODIHR-ვენეციის კომისია, სახელმძღვანელო მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების თაობაზე, მე-2 გამოცემა, (გარშავა/სტრასბურგი, 2010), პარაგრაფი 2.1.

³⁸ კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი 9(2).

მთავარი მოვალეობაა კანონიერების და წესრიგის დაცვა, ადამიანთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, მასთან ბრძოლა და საზოგადოებისთვის დახმარების და მომსახურების განწევა³⁹.

მითითებულ შემთხვევებში, აღნიშნული საერთაშორისო მოთხოვნები დარღვეულია, რაც სამართალდამცავთა მიერ განხორციელებული მოქმედებების არაკანონიერებაზე მიუთითებს. პოლიციის მხრიდან არ შეფასებულა შეკრების მონაწილე პირთაგან მომდინარე საფრთხეების რეალურობა და მყისიერი საფრთხეები, რაც დაშლისა და დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის თანახმად, პირდაპირი და მკაფიო საკანონმდებლო მონესრიგების არარსებობის პირობებში, შეკრების მშვიდობიანი ხასიათის განსაზღვრის მიზნით ფაქტების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება, პოლიციის დისკრეციაზეა მინდობილი, რაც პოლიციის პერსპექტივიდან გამომდინარე, არარაციონალურად შედეგითი პასუხისმგებლობაა და შესაძლოა, უარყოფითად აისახოს მის ეფექტიანობაზე⁴⁰. ზემოაღნიშნული მაგალითები ნათლად მიუთითებს პოლიციის რთულ მდგომარეობაზე, როდესაც მას, სხვა კომპლექსური ხასიათის გამონწვევებთან ერთად, აქვს ვითარების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების ფართო დიაპაზონი და გაზრდილი პასუხისმგებლობა, რაც ხშირად მისი მხრიდან უფლებებში არაკანონიერი ჩარევის საფუძველი ხდება. აღნიშნული კი, ხშირ შემთხვევაში, იწვევს შეკრების მშვიდობიანი მონაწილეების უფლებების არამართლმომიერ შეზღუდვას, რამდენადაც პოლიცია დისკრეციის ფარგლებში წყვეტს მთელი შეკრების შეწყვეტას ცალკეული ძალადობრივი ქმედებების გამო, რაც ეწინააღმდეგება როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო სტანდარტებს.

პოლიციის მიერ ვითარების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების ფართო დიაპაზონისა და გაზრდილი პასუხისმგებლობის პრობლემურობაზე ნათლად მიუთითებს 2020 წლის 9 ნოემბერს სამოქალაქო აქტივისტების - ლექსო მაჭავარიანის, გიორგი მჭავანაძისა და ნოდარ რუხაძის დაკავება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე. სამივე აქტივისტი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე,

³⁹ შეკრებების დროს დემოკრატიული საპოლიციო სამუშაოს განხორციელება (გვნა: ეუთოს უფროსი მრჩეველი პოლიციის საკითხებში, 2008 წ.) SPMU-ს პუბლიკაციების სერია, ტომი 1, მეორე გამოცემა. <https://bit.ly/3716rwH>.

⁴⁰ იხ.: სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)“, 2020 წ. : <https://bit.ly/3olqCMu>.

გასათბობად, შეშის შეტანას ცდილობდა, რისი ნებაც სამართალდამცავებმა არ მისცეს. ლექსო მაჭავარიანი ერთ-ერთ სამართალდამცავს უთხრა: „გადაგტეხავთ“. სამართალდამცავის კითხვაზე - „რას იზამ?!“ ლექსომ მაჭავარიანი უპასუხა - „ხელისუფლებას გადაგტეხავთ“. ამას მოჰყვა ლექსო მაჭავარიანის დაკავება⁴¹.

სამართალდამცავთა ქმედება, ამ შემთხვევაშიც, არაპროპორციული და არაკანონიერია. ამასთან, შესაძლოა, იგი მიზნად ისახავდეს - აქციის მონაწილე პირთა დაშინებასა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების გამოყენებისგან თავის შეკავებას. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული დაკავება, სისხლისსამართლებრივი მექანიზმებისაგან განსხვავებით, თავისუფლებაში უფრო ნაკლები ინტენსივობით ჩარევას წარმოადგენს, ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებისაგან, ამტკიცოს, რომ უფლებაში ჩარევა აკმაყოფილებს პროპორციულობის ტესტს და წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ნაკლებ მზღუდავ საშუალებას. გონივრული ეჭვი არის ის, რაც აკავშირებს კონკრეტულ პირს კონკრეტულ დანაშაულთან. ეჭვი ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულებაა, მაგრამ პირის თავისუფლებაში ჩარევა ვერ მოხდება იმგვარი ეჭვის საფუძველზე, რომელიც ემყარება მხოლოდ სუბიექტურ განწყობას⁴². ამგვარი მიდგომა იქნებოდა მწვანე შუქი თვითნებობისათვის, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი.

⁴¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებული ანგარიში. 09.11.2020.

⁴² იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: John Murray v. UK. 25 იანვარი, 1996 წ.

კომენდანტის საათის შემოღება

(მთავრობის დადგენილება №670)

საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 9 ნოემბრიდან საქართველოს შვიდ ძირითად ქალაქში დამის 22 საათიდან დილის 5 საათამდე ფაქტობრივად კომენდანტის საათი გამოაცხადა⁴³, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დადგენილებაში მსგავსი ტერმინი არ არის მოხსენიებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის (GDI, ISFED, HRC და TI) შეფასებით, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, მთავრობის მიერ შემოღებული შეზღუდვები, შესაძლოა, აღქმული იყოს ხელისუფლების მცდელობად, ხელი შეუშალოს დემოკრატიულ პროცესებს და ებრძოლოს არა COVID-19-ის გავრცელებას, არამედ - იმ საპროტესტო ტალღას, რომელიც უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში აგორდა. ორგანიზაციების განცხადებით, ასეთ მცდელობას განსაკუთრებით მიანიშნებს ის ფაქტი, რომ კომენდანტის საათის მოქმედება გავრცელდა წინასაარჩევნო კამპანიაზეც (აგიტაციაზე), მაშინ როდესაც წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული სხვა შეზღუდვებისგან გამონაკლისს წარმოადგენდა⁴⁴.

2020 წლის 24 ნოემბერს, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტმა და ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელეს განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი შეზღუდვები გადაადგილების თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენს. აღნიშნული შეზღუდვები, ასევე, საფრთხეს უქმნის მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციას და არაპირდაპირ ზღუდავს მას. არსებული კანონმდებლობით, საქართველოს მთავრობას არ აქვს უფლება, შეზღუდოს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება ამ პირობებში. ამ შეზღუდვების მიღების დრო და ხასიათი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი შემოღებულია გაზრდილი საპროტესტო მუხტის ჩასახშობად⁴⁵.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საქართველოს მთავრობის ამგვარი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს. აგრეთვე, დაშვება იმისა, რომ საქართველოს მთავრობას

⁴³ იხ.: საქართველოს მთავრობის დადგენილება №670 - „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. <https://bit.ly/3m6DtiV>.

⁴⁴ იხ.: GDI, ISFED, HRC და TI-ის განცხადება კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით. <https://bit.ly/345BZiY>.

⁴⁵ იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ერთობლივი განცხადება საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. <https://bit.ly/39VYk6g>.

შეუძლია, განსხვავებულად მოაწესრიგოს ნორმატიული აქტის მიღებისა და გამოქვეყნების წესები, მნიშვნელოვნად არყვეს სამართლებრივი უსაფრთხოების კონსტიტუციურ პრინციპს. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის მიერ კომენდანტის საათის ერთპიროვნულად, საკანონმდებლო ორგანოს ჩართულობის გარეშე დაწესება საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას წარმოადგენს.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვის საკანონმდებლო საფუძვლად მითითებული იქნა „სამოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³-ე მუხლი⁴⁶, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 22 მაისს დაჩქარებული წესით მიიღო, რათა საქართველოს მთავრობას საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგაც ჰქონოდა საფუძველი, შეეზღუდა ადამიანის მთელი რიგი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ სტანდარტებს. ასევე, აღმასრულებელ ხელისუფლებას თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

კომენდანტის საათი დამაბრკოლებელი გარემოება აღმოჩნდა ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო და საპროტესტო აქციების მონიტორინგის მიერ საქმიანობის განხორციელებისთვისაც, ვინაიდან, აღნიშნული შეზღუდვებიდან გამომდინარე, 22:00 საათის შემდეგ მათ ეკრძალებოდათ გადაადგილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჯარიმდებოდნენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე. შესაბამისად, მონიტორინგი იძულებული იყვნენ, მხოლოდ დადგენილებით განსაზღვრულ დრომდე განეხორციელებინათ საპროტესტო აქციების მონიტორინგი.

შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური მოთხოვნების და საერთაშორისო სტანდარტების საპირისპიროდ, საქართველოს მთავრობამ ფაქტობრივად ჩაანაცვლა საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი და ყოველგვარი საჯარო დისკუსიებისა და განხილვის გარეშე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევით, შემოიღო ახალი, მაღალი ინტენსივობის შეზღუდვა.

მიმოსვლის თავისუფლების მასშტაბური შეზღუდვის მიმდინარე/დაგეგმილ მანიფესტაციებზე გავრცელებამ მეტად გაამწვავა ქვეყანაში ისედაც არსებული დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა.

⁴⁶ იხ.: „სამოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³-ე მუხლი.
<https://bit.ly/2K61oIB>.

სამართალდამცავთა აუცილებლობა და პროპორციული რაოდენობა

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პოლიცია ვალდებულია, ხელი შეუწყოს შეკრებას მის შესახებ შემოტანილი შეტყობინების ან ორგანიზატორებთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად. სამართალდამცავი ორგანოები ყოველთვის უნდა ეცადონ, რომ ადგილზე რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობის საპოლიციო რესურსები განალაგონ, რითაც ღონისძიების მშვიდობიანად ჩატარებას შეეწყობა ხელი. აგრეთვე, შეკრების მიმდინარეობისას ტაქტიკურმა მეთაურებმა მუდმივად უნდა შეიტანონ კორექტივები საპოლიციო ოპერაციაში. ღონისძიების მანძილზე მათი პრაქტიკული ქმედებები გადაწყვეტილებების მიღების მოდელზე უნდა იყოს დაფუძნებული⁴⁷.

სამართალდამცავთა მიდგომა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და აქედან გამომდინარე, ეს მიდგომები უნდა იყოს პროპორციული და აუცილებელი. ასევე, სასურველი მიზნების მისაღწევად საჭირო მინიმალური საპოლიციო ქმედებები უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს პრინციპები გადაწყვეტილებების მიღების სრულ პროცესს უნდა ედოს საფუძვლად⁴⁸.

ეროვნულ დონეზე, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს ეკისრება როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულებები უზრუნველყოს შეკრებისა და მანიფესტაციის დაუბრკოლებლად, ექსცესების გარეშე მიმდინარეობა.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, პროპორციულობის თვალსაზრისით, აქციების უმრავლესობაში, სამართალდამცავთა რაოდენობა პროპორციულად იყო წარმოდგენილი. თუმცა, საპროტესტო აქციების მონიტორინგმა, ზოგიერთი შემთხვევაში, განსაკუთრებით კი, 2020 წლის ნოემბრის თვეში გამართული აქციებზე, აღრიცხეს ისეთი ფაქტები, როდესაც შეკრების ადგილზე მობილიზებული სამართალდამცავების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა აქციის მონაწილეთა რაოდენობას⁴⁹.

⁴⁷ იხ.: Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 92. <https://bit.ly/37KoXsa>.

⁴⁸ იხ.: Makaratzis v. Greece, Application No. 50385/99, 2004. <https://bit.ly/33TsF1B>.

⁴⁹ **შენიშვნა:** არასამთავრობო ორგანიზაციის - „არა მკვლევებს“ აქციაზე შსს-სთან (2020 წ. 10 აგვისტო, თბილისი), დაახლოებით 8-10 დემონსტრანტი იყო. იმავდროულად ადგილზე მობილიზებული იყო 6-მდე სამართალდამცავი. ასევე, პოლიტიკური პარტია „გირჩის“ აქციაზე, იპოდრომზე, რომელიც გამართა საგანგებო მდგომარეობისა და მის პერიოდში გამოწერილი ჯარიმების გაუქმების მოთხოვნით (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი) იმყოფებოდა 20-მდე დემონსტრანტი. იმავდროულად ადგილზე 10-მდე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი იდგა.

2020 წლის 8 ნოემბრის აქციაზე გამოყენებული საპოლიციო ძალის სამართლებრივი შეფასება

2020 წლის 8 ნოემბერს საქართველოს პარლამენტთან გაიმართა აქცია სახელწოდებით - „დაიცავი შენი ხმა“, რომლის დასრულების შემდეგ დემონსტრანტების ნაწილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობისკენ გადაინაცვლა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან დემონსტრანტების მცირე ნაწილის მისვლიდან რამდენიმე წუთში, სამართალდამცავებმა დემონსტრანტებს, მათი დაშლის მიზნით, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, სპეციალური საშუალება - წყლის ჭავლი და ე.წ. წინაკის სპრეი დაუპირისპირა⁵⁰. სპეციალური საშუალებების გამოყენებას წინ უძღოდა მხოლოდ აქციის ერთეული მონაწილის მხრიდან რკინის ფირფიტებიანი ღობის მორღვევის მცდელობა, ხოლო დემონსტრანტების ძირითადი ნაწილი პროტესტს მშვიდობიანად გამოხატავდა⁵¹.

ამასთან, წყლის ჭავლის გამოყენებამდე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს ცესკოს წინ არსებული ვითარების უფრო მსუბუქი საშუალებით განმუხტვის არანაირი მცდელობა არ ჰქონიათ. გარდა ამისა, სამართალდამცავებს აქციის იმ მონაწილეებისგან, რომლებიც უშუალოდ დამცავი ბარიერის გარღვევას ცდილობდნენ, ამ ქმედებების შეწყვეტა არ მოუთხოვიათ. ასევე, პოლიციას არ გაუფრთხილებია დემონსტრანტები ძალის გამოყენების შესახებ. როგორც მედიით გავრცელებული კადრებიდან და მონიტორთა ანგარიშებიდან ჩანს, წყლის ჭავლი ასევე გამოიყენებოდა აქციის მშვიდობიანი მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ⁵².

სამართალდამცავთა მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენებისას დაშავდნენ მედიის წარმომადგენლები, ასევე, დაზიანდა მათი ტექნიკა⁵³. სპეციალური საშუალების გამოყენებისას, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა არ დაიცვეს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით მათთვის დადგენილი ვალდებულება - ხელი არ შეუშალონ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ შეკრებას ან მანიფესტაციას.

⁵⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებული ანგარიში. 08.11.2020. ასევე, იხ.: ინფორმაცია: <https://formulanews.ge/News/39378>.

⁵¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში. 08.11.2020.

⁵² ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში. 08.11.2020. იხ.: ასევე, ინფორმაცია: <https://bit.ly/3kfG2OV>.

⁵³ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/370N4n7>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები 2020 წლის 8 ნოემბერს მთელი დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ საქართველოს პარლამენტის და შემდგომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინ მოქალაქეთა მშვიდობიანი საპროტესტო აქციების სრულ მიმდინარეობას.

დამკვირვებლების ინფორმაციით, აქციაზე, საწყის ეტაპზე, ერთი მხრივ, არ გამოკვეთილა რომელიმე სპეციალური საშუალების გამოყენების საჭიროება და, მეორე მხრივ, სამართალდამცველების მიერ არ შესრულებულა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა, სპეციალური საშუალებების გამოყენების წინ პირთა წინასწარი გაფრთხილების შესახებ.

წყლის ჭავლის და წინაკის სპრეის პირველად გამოყენების შემდეგ, 22:20 საათიდან, ცესკოს ეზოდან პოლიცია დაახლოებით 1 (ერთი) საათის განმავლობაში, ინტენსიურად აფრთხილებდა მოქალაქეებს, რომ დაშლილიყვნენ, „წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლწესრიგის აღსადგენად და სამოქალაქო სიმშვიდის დასამყარებლად გამოყენებული იქნებოდა კანონით გათვალისწინებული ღონიძიებები“. პოლიცია არ აკონკრეტებდა, კერძოდ, რა ღონიძიება იქნებოდა გამოყენებული, მაგრამ ადგილზე უკვე ორი წყალსატყორცნი მანქანა იმყოფებოდა და აქციის მონაწილეებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ სწორედ წყლის ჭავლს გამოიყენებდა პოლიცია. ამავე დროს, პოლიცია გამაფრთხილებელ გზავნილში აქციის ორგანიზატორებს მოუწოდებდა, რომ „წესრიგის დამყარების ადგილიდან“ გაეყვანათ მოხუცები, ბავშვები და ქალები, რაც დადებითად უნდა შეფასდეს⁵⁴.

დაახლოებით, 00:10 საათიდან, პოლიციამ ხელმეორედ დაიწყო წყლის ჭავლის გამოყენება და აქციის მონაწილეებზე თითქმის უწყვეტად, რამდენიმე ნაკადით მიუშვა წყლის ჭავლი - დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში. ტვ ფორმულას ვიდეოკადრებიდან ჩანს, რომ ამ დროისთვის ადგილზე უკვე მობილიზებული იყო 5-6 წყალსატყორცნი მანქანა, რომლებიც უშვებდნენ წყლის ჭავლს აქციის მონაწილეებისკენ⁵⁵. ამ გზით, პოლიციამ შეძლო აქციის მონაწილეების დროებით გაფანტვა. საპასუხოდ, აქციის მონაწილეთა ნაწილი პოლიციელებს აგინებდა და ზოგიერთი სხვადასხვა საგანს ესროდა, რაც ხელში მოხვდებოდათ. ჟურნალისტები აცხადებდნენ, რომ ძირითადად - ბოთლებს ისროდნენ. პოლიციის მიერ გავრცელებული ვიდეოკადრებიდან ასევე ჩანს, რომ აქციის მონაწილეთა მხრიდან

⁵⁴ იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში. 08.11.2020.

⁵⁵ იხ.: ტვ „ფორმულას“ პირდაპირი ტრანსლაციის ბმული - დემონსტრანტები წყლის ჭავლით ისევ დაშალეს: <https://bit.ly/3nfSyA8>.

წყალსატყორცნი მანქანისკენ ისვრიან ქვებს და ასევე - ცეცხლმოკიდებულ შეშებს. ქვებისგან ჩაიმსხვრა წყალსატყორცნი სპეცმანქანების საქარე მინები⁵⁶.

ცესკოს წინ შეკრებილი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ პირველ ეტაპზე წყლის ჭავლისა და ე.წ. წინაკის სპრეის გაუფრთხილებლად გამოყენება წარმოადგენდა არაპროპორციულ ძალას, რამაც უხეშად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები. რაც შეეხება მეორე ეტაპს, გაუფრთხილებლად სპეცსამშაულებებით აქციის პირველად დაშლის შემდეგ შეკრების მონაწილეთა აგრესია და წინააღმდეგობა თავად პოლიციის ძალადობრივი ქცევით იყო პროვოცირებული და შეკრების თავისუფლების შეფასებისას ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი ელემენტია.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების ქმედებები უნდა შეფასდეს შემდეგი სამი მიმართულებით:

ა) კანონთან შესაბამისობა - „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად⁵⁷, პოლიციელი ვალდებულია, ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელი ან შეუძლებელია.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კანონმდებლობა პოლიციის მხრიდან სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას აქციის მონაწილეთა წინასწარი გაფრთხილების შემდეგ უშვებს. ძალის ნებისმიერი სახით გამოყენებამდე შეკრების მონაწილეთა გაფრთხილება უნდა მოხდეს. ამ წესის ერთადერთ გამონაკლისს ისეთი სიტუაცია წარმოადგენს, როდესაც ძალის გამოყენების დაყოვნებას სიცოცხლის მოსპობა ან სერიოზული დაზავება შეიძლება მოჰყვეს. გაფრთხილება შესაბამისი სახის ხმის გამაძლიერებელი აპარატურის მეშვეობით შესაბამის ენაზე რამდენჯერმე უნდა გაკეთდეს. გაფრთხილება უნდა იყოს მკაფიო და გასაგები და იგი არ უნდა იყოს გადაფარული სხვა ბგერებით, მათ შორის ძლიერი ძრავის ხმით. შესაძლოა, საჭირო გახდეს გაფრთხილების

⁵⁶ იხ.: პოლიციის მიერ გავრელებული ვიდეოკადრები, სადაც ჩანს, როგორ ისვრიან ქვებს წყალსატყორცნი მანქანისკენ აქციის მონაწილეები იმ დროს, როდესაც წყლის ჭავლის გამოყენება ხდება: <https://bit.ly/3oiEOyj>.

⁵⁷ იხ.: „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი. <https://bit.ly/3nowqnv>.

რამდენიმე სხვადასხვა ადგილიდან გაკეთება იმისთვის, რომ იგი ყველა მონაწილემ გაიგოს⁵⁸.

განსახილველ შემთხვევაში, პოლიციის მხრიდან, პირველ ეტაპზე, წყლის ჭავლი გაფრთხილების გარეშე იქნა გამოყენებული, რაც შემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტრომაც დაადასტურა⁵⁹. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ არ არსებობდა პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გაფრთხილების გარეშე გამოყენების აუცილებლობა, რადგან იმ მომენტში დემონსტრანტებისგან შენობაში შეჭრის მყისიერი საფრთხე არ არსებობდა. ასევე, რეალური და მყისიერი საფრთხე არ ემუქრებოდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების ან სხვა გარშემო მყოფთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. შესაბამისად, პოლიციის მიერ განხორციელებული ქმედებების კანონთან შესაბამისობის კომპონენტი დაირღვა.

რაც შეეხება სპეცსაშუალებების გამოყენების მეორე ეტაპს, კანონით გათვალისწინებული სავალდებულო გაფრთხილების მოთხოვნა, ფორმალურად, დაცული იყო, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ სწორედ პოლიციის მიერ აქციის დაშლის პირველ ეტაპზე განხორციელებულმა ქმედებამ გახადა ცხადი, აქციის სხვა, მშვიდობიანი მონაწილეებისთვის, რომ შესაბამისმა ორგანოებმა აქციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღეს, რასაც დემონსტრანტთა გაბრაზება მოჰყვა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო პოლიციის მხრიდან დემონსტრანტთა წინასწარი გაფრთხილება, მოქალაქეები დაშლილიყვნენ და შეეწყვიტათ ძალადობრივი ქმედებები.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შეკრებაში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფების ცოდნა უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია პოლიციამ იცოდეს დემონსტრანტთა მისაღები ნორმების, ფასეულობების, ბრაზების და მიზნების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია, სამართალდამცველებს წარმოდგენა ჰქონდეთ, რას მიიჩნევენ დემონსტრანტები სწორად და მისაღებად, როგორი სტერეოტიპები და მოლოდინები აქვთ სხვა ჯგუფებთან მიმართებით, როგორია მათი ისტორია (მათ შორის, მათ მიერ მანამდე ორგანიზებული შეკრებების ისტორია) და სხვა დეტალები, რომლებსაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ⁶⁰. ამგვარი ცოდნა პოლიციას ჯგუფების ინტერესებისა და მიზნების გაგებაში ეხმარება და მათი კანონიერი მიზნების ხელშეწყობის საშუალებას აძლევს. ამ ცოდნის მეშვეობით სამართალდამცავები ასევე იგებენ, როგორი ტიპის ქმედებებს აღიქვამს ესა თუ ის ჯგუფი პოლიციის მხრიდან პროვოკაციულად, რასაც კონფლიქტის გამონწვევა შეუძლია.

⁵⁸ იხ.: Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 103. <https://bit.ly/2VXr3zC>.

⁵⁹ იხ.: შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://bit.ly/2IAYC7g>.

⁶⁰ იხ.: Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 31. <https://bit.ly/2VXr3zC>.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ეტაპზე სამართალდამცავთა მხრიდან, წინასწარი გაფრთხილების სავალდებულო მოთხოვნა შესრულებულია, იგი ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური საშუალებების გამოყენების ლეგიტიმურად მიჩნევისათვის საკმარის წინაპირობად. აღნიშნული საკითხი უნდა შეფასდეს კუმულაციურად, *პროპორციულობის* აუცილებლობის კომპონენტთან ერთად.

ბ) **პროპორციულობა** - „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პოლიციისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პოლიციელი უფლებამოსილია, პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რაც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას⁶¹. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პოლიციის მიერ შეკრების დაშლა ყოველთვის უკანასკნელი ზომა უნდა იყოს და იგი მხოლოდ ძალადობაზე ან ძალადობის გარდაუვალ საშიშროებაზე რეაგირებას უნდა წარმოადგენდეს. რაიმე სხვა საოპერაციო ვარიანტის გამოყენებამდე პოლიციამ შეკრების მონაწილეებს სიტყვიერად და ვიზუალურად უნდა სთხოვოს ტერიტორიის დატოვება. ასევე, პოლიციამ უნდა სცადოს ორგანიზატორებთან ან ზეგავლენის მქონე პირებთან მოლაპარაკება და აქციის მონაწილეების კონკრეტული ადგილიდან გასვლის ხელშეწყობა. ეს უნდა იყოს რუტინულად გამოყენებული მეთოდი როდესაც ადამიანები კონკრეტული ადგილის დატოვებაზე უარს აცხადებენ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ფართომასშტაბიან ძალადობრივ ქმედებებს უკვე აქვთ ადგილი და აქციის დაშლის გადადებას პოლიციისთვის გარდაუვალი საფრთხის შექმნა შეუძლია⁶².

განსახილველ შემთხვევაში, აქციის დაშლის პირველ ეტაპზე, წყლის ჭავლი გამოიყენებოდა მშვიდობიანი დემონსტრანტებისა და ინდივიდუალური პირების მიმართ მაშინ, როცა ცენტრალური საარჩევნოს კომისიის წინ დემონსტრანტების მხრიდან არ ფიქსირდებოდა მასობრივი დარღვევები და არ არსებობდა მყისიერი საფრთხე. შესაბამისად, პირველ ეტაპზე მათ წინააღმდეგ წყლის ჭავლის გამოყენება იყო არაპროპორციული. ამასთან, ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო აქციის 10-მდე მონაწილემ⁶³.

გარდა ამისა, განსაკუთრებით შემამფოთებელია არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და ჯანდაცვის სისტემაში შექმნილი კრიზისის ფონზე, ცივ კლიმატურ პირობებში ცივი წყლის ჭავლისა და ე.წ. წინაკის სპრეის გამოყენება.

⁶¹ იხ.: „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი: <https://bit.ly/3nowqnv>.

⁶² იხ.: Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 103. <https://bit.ly/2VXr3zC>.

⁶³ იხ.: შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://bit.ly/2IAYC7q>.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ასეთ შემთხვევაში, გონივრულობის ფარგლებში, გამოყენებული უნდა იქნას შეთბობილი წყალი⁶⁴.

შეკრების დაშლის მეორე ეტაპზე, როდესაც რიგი ძალადობრივი ქმედებები იქნა იდენტიფიცირებული, სამართალდამცავთა მხრიდან გამოყენებული ძალის პროპორციულობის საკითხი ჯერ კიდევ პრობლემურია. კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, მაშინაც კი, როცა შეკრება მიიჩნევა უკანონოდ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, სამართალდამცავმა უწყებებმა არ უნდა გამოიყენონ ძალა მხოლოდ მისი უკანონობის გამო⁶⁵. ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მყარი მიზეზების არსებობისას - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და დანაშაულის პრევენციისთვის⁶⁶. მოცემულ შემთხვევაში, აქციის პირველი დაშლის შემდეგ, აქციის მონაწილეების წინააღმდეგობა სამართალდამცავებთან, პირველ ეტაპზე თავად პოლიციის ძალადობრივი ქცევით იყო პროვოცირებული და შეკრების თავისუფლებაში ჩარევის დროს პროპორციულობის საკითხის შეფასებისას, ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი ელემენტია. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ სამართალდამცავთა მხრიდან არ მომხდარა მშვიდობიანი და არამშვიდობიანი შეკრების მონაწილეების გამიჯვნა და მათდამი ინდივიდუალური მოპყრობა. სამართალდამცავთა მხრიდან, შეკრების მონაწილეთა მიმართ ინდივიდუალური მოპყრობის ჯეროვანი შესრულება (ამასთან - მაშინ, როცა ცესკოს წინ ფართომასშტაბიანი შეკრება არც ყოფილა) მათი მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების კონტროლს შეუწყობდა ხელს, რაც მძიმე შედეგების პრევენციაც იქნებოდა.

გ) აუცილებლობა - საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შეკრების დროს ძალის რაიმე სახით გამოყენების შესაძლებლობის განხილვამდე, პოლიციამ, პირველ რიგში, მისი აუცილებლობა უნდა განიხილოს. თუ რომელიმე ამოცანის მიღწევა მშვიდობიანი მეთოდებით არის შესაძლებელი, მაშინ ძალა არ უნდა იქნას გამოყენებული. გარდა ამისა, როდესაც ძალის გამოყენება ხდება, გათვალისწინებული უნდა იქნას მისი პროპორციულობა, რისი მეშვეობითაც წესრიგის დაცვის კუთხით კანონიერი მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს⁶⁷.

⁶⁴ იხ.: UNITED NATIONS HUMAN RIGHTS, GUIDANCE ON LESS-LETHAL WEAPONS IN LAW ENFORCEMENT; გვ. 38; პუნქტ. 7.7.3. 2020 წ. <https://bit.ly/2W5gE4T>.

⁶⁵ იხ.: Amnesty International, Use of Force: Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, 7 September 2015, Guideline No.7, გვ. 147-148, <https://bit.ly/2xrAUBn>.

⁶⁶ იხ.: Inter-American Commission on Human Rights, Report on the situation of human rights defenders in the Americas, 2006, § 68. <https://bit.ly/3oCWxHs>.

⁶⁷ იხ.: Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 30. <https://bit.ly/2VXr3zC>.

განსახილველ შემთხვევაში, სპეციალური საშუალებების გამოყენების პირველ შემთხვევაში დემონსტრანტების უმრავლესობა მშვიდობიანი ფორმით გამოხატავდა პროტესტს. აქციის მხოლოდ ერთეული მონაწილეები მიმართავდნენ დაუმორჩილებელ და ძალადობრივ ქმედებებს, რაზეც სამართალდამცავებს ინდივიდუალური ხასიათის ღონისძიებები უნდა გაეტარებინათ. ასეთ დროს, რამდენადაც უფლების რეალიზებას ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ახდენს, ცალკეულ პირთა ან პირთა მცირე ჯგუფების სიტყვიერი ან ფიზიკური აგრესიის თუ ძალადობის აქტები არ უნდა აბათილებდეს იმ ადამიანთა შეკრების თავისუფლებას, რომლებიც მშვიდობიან ქცევას განაგრძობენ⁶⁸. ამავე დროს, როდესაც კონკრეტული შეკრების ორგანიზატორების კონტროლს მიღმა განვითარებული მოვლენების შედეგად უწესრიგობის რეალური რისკი დგება, შეკრება არ გამოირიცხება უფლების დაცული სფეროდან⁶⁹. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში, ნებისმიერი სახის ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტული ინდივიდების ძალადობრივ ქმედებებზე პასუხს და არა მთელი შეკრების დაშლას⁷⁰.

შესაბამისად, შეკრების დაშლის პირველ ეტაპზე სამართალდამცავთა მიერ გამოყენებული სპეციალური საშუალებები არ იყო კანონის შესაბამისი, პროპორციულად შემზღუდველი და აუცილებელი.

შეკრების დაშლის მეორე ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ, ფორმალურად, დაცულია წინასწარი გაფრთხილების სავალდებულო მოთხოვნა, პრობლემურია მისი დაწყების საფუძვლები, კერძოდ, როგორც აღინიშნა, შეკრების მონაწილეთა ქმედებების ძალადობრივი ხასიათი, სწორედ პოლიციის მიერ შეკრების დაშლის პირველ ეტაპზე განხორციელებულმა არაკონსტიტუციურმა ქმედებებმა გამოიწვია, რასაც შეკრების მონაწილეთა გაბრაზება მოჰყვა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო სამართალდამცავთა მხრიდან დემონსტრანტთა წინასწარი გაფრთხილება, მოქალაქეები დაშლილიყვნენ და შეეწყვიტათ ძალადობრივი ქმედებები. შესაბამისად, აღნიშნული ქმედებები შედეგია იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს არ გააჩნდათ წინასწარ განსაზღვრული ზედმიწევნითი, ამასთან, გონივრული და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული გეგმა, რომელიც შეკრების შეწყვეტის გადაწყვეტილების აღსრულებას ლეგიტიმურ

⁶⁸ იხ.: ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 18.

⁶⁹ იხ.: ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის გამამკვეფი, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, პირველი გამოცემა - 31 აგვისტო 2019, პარ. 26.

⁷⁰ იხ.: ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 164.

მიზნებში დატოვებდა და სამართალდაცავთა მხრიდან გამოყენებული ძალის გადამეტების მაქსიმალურ პრევენციას მოახდენდა.

შეკრების სპეცსაშუალებებით დაშლის პირველი ეტაპის შემდეგ, შეკრების მონაწილეთა ქცევები ძალადობრივ ხასიათს ატარებდა. ეს გამონგვეული იყო იმით, რომ სამართალდამცავებმა შეკრება არასაკმარისი დასაბუთებითა და გარკვეულწილად საეჭვო გარემოებებში დაშალეს, კერძოდ - არ განხორციელებულა დაშლის შესახებ სათანადო გაფრთხილება და ადგილი ჰქონდა ძალის გადაჭარბებულ და გაუმართლებელ გამოყენებას, არაპროპორციული იყო და გაცდა გონივრულობის იმ ფარგლებს, რაშიც მოქმედება ევალუბათ სახელმწიფოებს⁷¹. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად სამართალდამცავთა მხრიდან შეკრების მონაწილეთა პროვოცირებისა, მეორე ეტაპზე, როდესაც აქციის მონაწილეთა მხრიდან გახშირდა ძალადობრივი ქმედებები (აგრესია, ცეცხლმოკიდებული შეშების, ბოთლების და სხვადასხვა საგნების სროლა პოლიციის მისამართით), სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს წარმოეშვათ შეკრების დაშლის ლეგიტიმური საფუძვლები. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, წარმოიშვა შეკრების მონაწილეთა მიმართ პროპორციული ძალის გამოყენების აუცილებლობა, რათა დაეცვათ შეკრების მონაწილეთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელიც მომდინარეობდა შეკრების მონაწილეთა ძალადობრივი ხასიათის ქმედებებიდან.

1990 წელს მიღებული „გაეროს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“ იმ ზოგად პრინციპებს აღწერს, რომელთა ფარგლებშიც უნდა მოხდეს ძალის გამოყენება, და რომელიც ყველა პოლიციელს ეხება. „ძირითად პრინციპებში“ ხაზგასმულია, რომ ძალის გამოყენება ყოველთვის უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს და არა ნორმა და როდესაც ძალა გამოიყენება, ის უნდა იყოს პროპორციული და მის მიზანს ადამიანის სიცოცხლის პატივისცემა უნდა წარმოადგენდეს⁷². „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შეკრების უფლების შეზღუდვა უნდა იყოს: კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევისკენ მიმართული; კანონით გათვალისწინებული; დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი; არადისკრიმინაციული; პროპორციულად შემზღუდველი; ისეთი, რომ შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატებოდეს შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი ქმედებები სამართალდამცავთა მხრიდან

⁷¹ Case of Ter-Petrosyan v. Armenia, Application no. 36469/08, 2019. <https://bit.ly/2Yrq8qD>.

⁷² იხ.: გაეროს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, (ჰავანა, გაეროს მერვე კონგრესი დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეებისადმი მოპყრობის შესახებ, 1990 წ. <https://bit.ly/341bdZ5>.

პროვოცირებულ ქმედებებს მოჰყვა, მეორე ეტაპზე გამოყენებული ძალა ფორმალურად, კანონთან შესაბამისობისა და აუცილებლობის კომპონენტს აკმაყოფილებს, რადგან გამოკვეთილი იყო აქციის მონაწილეების ძალადობრივი ქმედებები, რაზეც, სამართალდამცავთა მხრიდან საჭირო იყო შესაბამისი მიყისიერი რეაგირება. თუმცა, პროპორციულობის საკითხი კვლავ პრობლემურია, ვინაიდან, სამართალდამცავ ორგანოებს აშკარად არ ჰქონდათ ეფექტიანი და გონივრული გეგმა ან სტრატეგია აქციის მონაწილეთა ქცევის კონტროლისა და ვითარების დეესკალაციისთვის, რასაც, საბოლოოდ, გამოყენებული ძალის გადამეტება და შეკრების მონაწილეთა დაზიანება მოჰყვა.

რაც შეეხება ჟურნალისტებს, პოლიცია ყოველთვის უნდა აღიარებდეს ჟურნალისტების უფლებას, დაესწრონ და გააშუქონ საჯარო შეკრებები. პოლიციას გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, ხელი შეუწყოს ჟურნალისტების უფლებებს ამგვარ ღონისძიებებზე და ნეგატიური ვალდებულება - ხელი არ შეუშალოს ან აღკვეთოს მედიის საქმიანობა. შეკრებების დროს ჟურნალისტებისთვის მუშაობის ხელშეწყობა პოლიციის ინტერესებში შედის: როდესაც ჟურნალისტებს მარტივი წვდომა აქვთ ღონისძიებაზე, უფრო მეტი შანსია, რომ მედიის მიერ პოლიციის ქმედებების გაშუქება უფრო პოზიტიურ ტონში მოხდება. ეს ასევე ხელს უწყობს ჟურნალისტებსა და პოლიციას შორის ნდობის ზრდას⁷³.

ცესკოს წინ გამართულ აქციაზე ცივი წყლის ჭავლით ჟურნალისტების და მათი ტექნიკის დაზიანება შემამოფოთებელია და აგრძელებს 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების დროს დამკვიდრებულ საპოლიციო მოქმედებების ტრადიციას, როდესაც ათობით ჟურნალისტმა მიიღო ჯანმრთელობის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები⁷⁴.

⁷³ იხ.: Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 33. <https://bit.ly/2VXr3zC>.

⁷⁴ იხ.: ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის განცხადება, 2019 წ. 21.06. <https://bit.ly/37dhF1b>.

დასკვნა

2020 წლის პირველ საანგარიშო პერიოდში (2020 წლის 16 აგვისტომდე) გამართული აქციების მონიტორინგის ანგარიშების შეფასების, იდენტიფიცირებულ სამართალდარღვევათა ანალიზის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აქციების უმრავლესობაში, მეტწილად, დაცული იყო შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების უფლება და შესაბამისი სტანდარტები.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორთა მიერ იდენტიფიცირებულ შემთხვევათა შორის, დაფიქსირდა არაპროპორციული ძალის მობილიზების, დაკავებისა და დაჯარიმების მუქარით დაშლის მოთხოვნებიც, საბოლოო ჯამში, აქციების უმეტესობა ატარებდა მშვიდობიან ხასიათს. ამასთან, როგორც დემონსტრანტთა, ისე სამართალდამცავთა ქმედებებიც ლეგიტიმური იყო და ექცეოდა როგორც ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების ფარგლებში.

უმეტესად, აქციათა მშვიდობიანი ხასიათი განპირობებული იყო აქციებში მონაწილე აქტივისტთა/დემონსტრანტთა მცირერიცხოვანი რაოდენობით, რაც ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან მომდინარე საფრთხეების გამო, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო დაწესებული რიგი შეზღუდვებით იყო გამოწვეული.

რაც შეეხება მონიტორინგის მეორე საანგარიშო პერიოდს (2020 წლის 16 აგვისტოდან 15 დეკემბრამდე), განსაკუთრებით კი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში საპროტესტო აქციების ნაწილი გამოირჩეოდა ძალადობრივი ინციდენტებით. ამ მხრივ ყველაზე პრობლემურია 2020 წლის 8 ნოემბერს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინ გამართული აქცია, სადაც დემონსტრანტთა მიმართ, პოლიციის მხრიდან პირველ ჯერზე გაუფრთხილებლად გამოყენებული ძალა და სპეციალური საშუალებები - წყლის ჭავლი და ე.წ. წინაკის სპრეი არ იყო კანონის შესაბამისი, პროპორციულად შემზღუდველი და აუცილებელი; ამასთან, სპეციალური საშუალებების გამოყენებისას დაშავდნენ დემონსტრანტები, მედიის წარმომადგენლები, ასევე, დაზიანდა მათი ტექნიკა.

მეორე საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებულია აქციებზე დაუსაბუთებელი დაკავებისა და დაჯარიმების არაერთი ფაქტი.

პრობლემად წარმოჩინდა პოლიციის მიერ ვითარების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების ფართო დიაპაზონი და გაზრდილი პასუხისმგებლობა, რაც, ხშირად, მათი მხრიდან, უფლებაში არაკანონიერი ჩარევის საფუძველი ხდება. იდენტიფიცირებულია ფაქტები, როდესაც შეკრების ადგილზე მობილიზებული სამართალდამცავების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა აქციის მონაწილეთა რაოდენობას⁷⁵, რასაც, შესაძლოა, არსებითი გავლენა მოეხდინა აქციის მონაწილეთა გამოსატვის თავისუფლების უფლების სრულყოფილად რეალიზებასა და ღონისძიების განხორციელებაზე.

ნეგატიურად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის მიერ კომენდანტის საათის ერთპიროვნულად, საკანონმდებლო ორგანოს ჩართულობის გარეშე დაწესება, რაც საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაა. ამას კი მძიმე ზეგავლენა ჰქონდა როგორც საპროტესტო აქციების მიმდინარეობაზე, ისე მისი მონიტორინგის პროცესზე.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ, დადებითი ტენდენციების მიუხედავად, გარდამტეხი მნიშვნელობის მომენტებში, ვერ შეძლო მასზე დაკისრებული როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულებების შესრულება. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შეკრებისა და მანიფესტაციის დაუბრკოლებლად, ექსცესების გარეშე მიმდინარეობა, მეტიც - 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველადი შედეგების გაცნობის შემდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე იდენტიფიცირებულ იქნა მძიმე ხასიათის დარღვევები, რაც საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის რიგი სტანდარტების დარღვევას წარმოადგენს.

⁷⁵ **შენიშვნა:** არასამთავრობო ორგანიზაცია „არა მკვლელებს“ აქციაზე შსს-სთან (2020 წლის 10 აგვისტო, თბილისი), დაახლოებით 8-10 დემონსტრანტი იყო. იმავდროულად ადგილზე მობილიზებული იყო 6-მდე სამართალდამცავი. ასევე, პოლიტიკური პარტია „გირჩის“ აქციაზე, იპოდრომზე, რომელიც გაიმართა საგანგებო მდგომარეობისა და მის პერიოდში გამოწვეული ჯარიმების გაუქმების მოთხოვნით (2020 წლის 23 აპრილი, თბილისი) იმყოფებოდა 20-მდე დემონსტრანტი. იმავდროულად ადგილზე 10-მდე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი იდგა.

რეკომენდაციები

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ✓ დემონსტრაციების მიმდინარეობისას უზრუნველყოს მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოება და მათ მიერ საქმიანობის თავისუფლად და შეუფერხებლად განხორციელება;
- ✓ აღმოფხვრას ინსტიტუციურ დონეზე აქციის დაშლისას კანონით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებების გამოყენების და დემონსტრაციებზე წესრიგის მართვის მიმართულებით არსებული სისტემური ხარვეზები;

საქართველოს პარლამენტს:

- ✓ საკანონმდებლო დონეზე მოაწესრიგოს აქციის მონაწილეთა წინასწარი გაფრთხილების ინსტიტუტი და დაადგინოს წინასწარი მოლაპარაკებების სავალდებულო მექანიზმი;

საქართველოს პროკურატურას:

- ✓ გამოიძიოს თვითნებური და უსაფუძვლო დაკავების, აქციებზე ძალადობის და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები;
- ✓ ობიექტურად და მიუკერძოებლად აწარმოოს გამოძიება და დააკისროს პასუხისმგებლობა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს;

სასამართლო ხელისუფლებას:

- ✓ საერთო სასამართლოებში საქმის განხილვისას, გააძლიეროს დაკავებისას, სამართალდამცავთა მხრიდან, ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე სასამართლო კონტროლი.